საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 17 დეკემბერი 2012 წელი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 20

ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის ძირითადი საშტატო სტრუქტურით განსაზღვრულ თანამშრომლებზე მატერიალური წახალისების გაცემის განხილვის შესახებ

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 43-ე მუხლის 1 პუნქტის „ი" ქვეპუნქტის, „საქართველოს 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მე-5 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის 1-ლი პუნქტის „ $д^1$ " ქვეპუნქტისა და ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. ნება დაერთოს ბუღალტერიას სახელმწიფოს მიერ უნივერსიტეტის სახელფასო ფონდის დასაფინანსებლად გამოყოფილი სუბსიდიის ფარგლებში განხორციელებული შიგა ეკონომიის ხარჯზე დაგროვილი ფინანსური რესურსითა და სპეცანგარიშზე არსებული რესურსების გამოყენებით გასცეს მატერიალური წახალისება საშტატო სტრუქტურით განსაზღვრულ ძირითად თანამშრომლებზე.

2. ერთ საშტატო ერთეულზე მომუშავე თანამშრომლებისათვის წახალისების ოდენობად განისაზღვროს ერთი თვის ხელფასი, ხოლო ერთზე მეტ საშტატო ერთეულზე მომუშავე თანამშრომლებისათვის წახალისების ოდენობა გაიცეს მაღალანაზღაურებადი შტატიდან.

3. დადგენილება დასამტკიცებლად წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს.

4. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე **ე. მესხია**